ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 16/101
CPV 92100000; 92111220
(გამარტივებული შესყიდვა მონეტარული ზღვრების დაცვით)

ქ. თბილისი 29.12.2016 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო" წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, ვახტანგ ჭედიშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი გელა ხმალაძე (შემდგომში–მიმწოდებელი) პ/ნ (01017025068), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვი ს ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს სარეკლამო ვიდეო ფილმის გადაღება (კინო და ვიდეო მომსახურებები CPV92100000; 92111220) (შემდგომში – მომსახურება) შესყიდვა. დაფინანსების წყარო 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 3600 (სამი ათას ექვსასი ლარი), ლარს რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი მომსახურებას უწევს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გადაცემა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2. მომსახურების გადაცემის დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი არის ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" ვიდეო დიზაინერი თენგიზ გაჩეჩილაძე.

6. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადა**

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არაუმეტეს 10 საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

7. **მხარეების უფლება-მოვალეობანი**

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე მიაწოდოს უნაკლოდ გაწეული მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მომსახურების გაწევიდან ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

7.1.3. მის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი მომსახურების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.1.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ისა.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

7.3.2. მოითხოვოს ხელშეკრულების 7.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. სხვა პირობები

9.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 20 თებერვლამდე.

9.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

9.3 ხელშეკრულებაში ცლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

9.5 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

9.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო"
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ.№29-29ა
ტელეფონი: 237 82 74
საიდენტიფიკაციო კოდი: 405026877
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი - TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში № 741873459
თავმჯდომარე

ვახტანგ ჭედიშვილი

მიმწოდებელი:
ფ/პ გელა ხმალაძე
მისამართი: ქ.თბილისი ბარნოვის ქ,N8
ტელ: 574607706
პ/ნ (01017025068)
საბანკო რეკვიზიტები:
თიბისი ბანკი
საბანკო კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში N:
GE11TB7591945068100001
ფ/პ გელა ხმალაძე

გელა ხმალაძე

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

მიღება-ჩაბარების აქტი №16/101-1

ქ.თბილისი

04 იანვარი 2016

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ ს/კ 405026877 შემდგომში-შემსყიდველი მისი წარმოამდგენლის ნათია გუდავას სახით და მეორეს მხრივ ფ/პ გელა ხმალაძე პ/ნ (01017025068) შემდგომში მიმწოდებელი ვადასტურებთ რომ ჩვენს შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული №16/101 ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელმა ხელშეკრულების თანახმად უზრუნველყო სარეკლამო ვიდეო ფილმის გადაღება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 3600 (სამი ათას ექვსას ლარს) ლარს.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
მიიღო	ჩააბარა
ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების	ფ/პ გელა ხმალაძე
განვითარების სააგენტოს“	
ს/კ 405026877	პ/ნ 01017025068
.....	.....